საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

განათლება ეკონომიკური ზრდისთვის

www.sab.ge

განათლება ეკონომიკური ზრდისთვის

დღეისათვის საქართველოში არსებული განათლების სისტემა და მოსახლეობის განათლების დონე ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. განათლება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის ზრდის შრომის პროდუქტიულობას და სწორედ მისი საშუალებით გარდაიქმნება ნედლეული საქონლად. იგი ასევე მნიშვნელოვანია, არსებული ტექნოლოგიის სწრაფად ათვისებისა და სწორად გამოყენებისათვის. განათლებას ახასიათებს გადადინების (spillover) ეფექტი და ერთი კონკრეტული ადამიანის მაღალი განათლების დონით, სარგებელს იღებს არამხოლოდ ის კონკრეტული ადამიანი, არამედ მთლიანად საზოგადოება. მეტი განათლებული ადამიანი ქვეყანაში, ნიშნავს გამოშვების მაღალ დონეს (ანუ მაღალ მშპ-ს), ნაკლებ დანაშაულს, უკეთეს ჯანმრთელობას, მეტ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჩართულობას (OECD, 1998).

თანამედროვე მსოფლიოში განათლებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ადრე ადამიანებს ხელით უწევდათ მუშაობა პროდუქტის შესაქმნელად, ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, მუშახელი ჩანაცვლდა ტექნიკით, ხოლო მსოფლიო ეკონომიკის დიდმა წილმა მრეწველობიდან მომსახურებაზე გადაინაცვლა. მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებით, მსოფლიო მშპ-ის 65% მომსახურებაზე მოდის. შესაბამისად, მთელს მსოფლიოში იზრდება ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა. კვლევების თანახმად, მას შემდეგ რაც ქვეყანის მშპ მიაღწევს 5,000-10,000$-ს ერთ სულ მოსახლეზე, ეკონომიკური ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი მომსახურების და მაღალ-ტექნოლოგიური სექტორების პროდუქტიულობა ხდება[1]. ეს შედეგი კი კარგი განათლების მქონე თაობის არსებობით მიიღწევა.

კვლევებმა აჩვენა, რომ განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია 4-ჯერ უფრო მომგებიანია, ვიდრე სხვა დანარჩენ სექტორებში.[2] თუ შევხედავთ საერთაშორისო რეიტინგებს, რომელიც მოსწავლეთა უნარებს აფასებს, დავინახავთ, რომ კორელაცია აღნიშნული რეიტინგების შედეგებსა და ქვეყნის მშპ-ს შორის საკმაოდ მაღალია[3]. ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე ადგილს ფლობენ, მაღალი მშპ-ის დონით გამოირჩევიან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის უნარების განვითარება (განათლებაში ინვესტირება), იმისათვის რომ ქვეყნის მშპ გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ეკონომიკური ზრდა დარჩება დაბალ ნიშნულზე, ნიშნულზე რომელიც მიესადაგება მისი ადამიანური კაპიტალის რესურსს.



[1] Karlin, 2008
[2] Schultz, 1961
[3] Karlin, 2012

სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო მაჩვენებელი, საქართველოში არც ისე დაბალია (გაეროს მონაცემების თანახმად, სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში 15 წელია), საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის რეიტინგი საერთაშორისო კვლევებში. საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, ქართველ მოსწავლეთა განათლების დონე საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს, როგორც დაწყებითი განათლების საფეხურზე, ასევე საშუალო განათლების საფეხურზე.

Programme for International Student Assessment (PISA) კვლევის უახლესი შედეგების თანახმად, რომელიც 3 მოდულს ეყრდნობა (კითხვა (წაკითხულის გააზრება და სწორად ინტერპრეტირება), მათემატიკა და მეცნიერება), საქართველოს რეიტინგი 2018 წელს, 2015 წელთან შედარებით გაუარესდა სამივე მოდულში და ქართველი მოსწავლეების შედეგების მიხედვით, საქართველო ბოლოდან მე-8 ადგილზეა 79 ქვეყანას შორის.



დიაგრამა 3. Programme for International Student Assessment (PISA) შედეგები

Progress in International Reading Literacy Study (PIRLS) საერთაშორისო კვლევის თანახმად, რომელიც აფასებს მეოთხე კლასელების (9-10 წლის მოსწავლეების) კითხვის უნარებს, ქართველ მოსწავლეთა შედეგი, ჩამოუვარდება საშუალო მაჩვენებელს (საქართველოს ქულაა 488, საშუალო მაჩვენებელი კი 500). კიდევ უფრო საგანგაშო შედეგია მაღალ კლასებში, TIMSS კვლევის თანახმად, რომელიც მოსწავლეების უნარებს აფასებს მათემატიკასა და მეცნიერებაში, მე-4 კლასელებს უკეთესი შედეგი აქვთ, ვიდრე მე-8 კლასელებს.



დიაგრამა 1. Progress in International Reading Literacy Study (PIRLS) შედეგი



დიაგრამა 2. Trends in International Mathematics and Science Study (TIMSS) შედეგები

რატომ არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეიტინგები? საერთაშორისო რეიტინგები ეხმარება ქვეყნებს ისწავლონ ერთმანეთის გამოცდილებიდან და შეიმუშაონ შესაბამისი რეფორმები განათლების დარგში. მაგ: 2000

წელს, PISA შედეგების მიხედვით, გერმანიას საშუალოზე დაბალი ქულა ჰქონდა კითხვის კომპონენტში, რამაც უბიძგა გაეტარებინა რიგი რეფორმებისა და 2015 წელს გერმანელმა მოსწავლეებმა აღნიშნულ კომპონენტში საშუალოზე მაღალი შეფასებები მიიღეს. საერთაშორისო რეიტინგები კარგი საშუალებაა ქვეყნისთვის, რომ დაინახოს მისი განათლების სისტემის არსებული მდგომარეობა და მიიღოს შესაბამისი ზომები არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია (საჯარო სკოლები თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტშია განთავსებული და სწავლა უფასოა), მაღალი ხარისხის განათლებაზე წვდომა ყველა ბავშვს არ აქვს, ვინაიდან არსებობს სხვაობა განათლების იმ დონეებს შორის, რასაც საჯარო სკოლებში და კერძო სკოლებში იღებენ. საინტერესოა ასევე ბოლო პერიოდში გამოკვეთილი ტენდეციაც, რომლის მიხედვითაც საჯარო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა იკლებს და პარალელურად იზრდება კერძო სკოლების რიცხვი და კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა[4].



მიუხედავად ტენდენციისა, კერძო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვინაიდან ეს სოლიდურ ფინანსებთანაა დაკავშირებული, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 73%-ის ყოველთვიური შემოსავალი 1,000 ლარზე ნაკლებია.[5] რას მივიღებთ თუ საჯარო სკოლებში მდგომარეობა არ გამოსწორდება? ასეთ შემთხვევაში მივიღებთ კიდევ უფრო დიდ უთანასწორობას ფენებს შორის. მოსახლეობის მცირე ფენას ექნება მაღალი განათლების დონე და იქნება კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი დარჩება განათლების საშუალო დონეზე ქვემოთ და ვერ აუწყობს ფეხს განვითარების საერთაშორისო დონეს. კვლევების ნაწილის თანახმად (Gould and Moav, 2001), ხელფასებს შორის უთანასწორობა გამოწვეულია სხვადასხვა ჯგუფებს შორის განათლების დონის სხვაობით. ადამიანები, რომელთაც არ აქვთ ზოგადი განათლება და ეუფლებიან რაიმე კონკრეტულ ხელობას (ანუ აქვთ გარკვეული ცოდნა მხოლოდ ერთი მიმართულებით), დგანან რისკის წინაშე, რომ ტექნოლოგიური პროგრესის არსებობის შემთხვევაში, მათი ჩანაცვლება მარტივად მოხდება და გაუჭირდებათ შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრება.

და კვლავაც, ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის მწარმოებლურობაზე, ფაქტორებზე როგორიცაა ფიზიკური კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები, ადამიანური კაპიტალი და ტექნოლოგია. საქართველო არაა მდიდარი ფიზიკური კაპიტალით, ქვეყანას აქვს გარკვეული ბუნებრივი რესურსი (თუმცა მის სწორად გამოყენებას ცოდნა

[4] წყარო: საქსტატი
[5] წყარო: შემოსავლების სამსახური

სჭირდება), ცოდნა სჭირდება ტექნოლოგიურ პროგრესსაც, ხოლო ადამიანური კაპიტალი თავისთავად ცოდნისა და გამოცდილების არსებობას გულისხმობს. შესაბამისად, ცოდნის მიღება და განათლების მაღალი დონე ის ერთადერთი გზაა, რაც აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების მოსაგვარებლად არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები“ მიიჩნევს, რომ აუცილებელია:

- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საჯარო სკოლებში არსებულ განათლებას, რადგან, თუ მოსწავლე ვერ შეძლებს საჯარო სკოლაში განათლების იმ დონის მიღებას, რომ შეძლოს წაკითხულის გააზრება და ინტერპრეტირება, მას გაუჭირდება უმაღლესი განათლების მიღება.
- გლობალიზაციის პირობებში, მნიშვნელოვანია, რომ ქართველ ახალგაზრდებს შეეძლოთ კონკურენციის გაწევა მათი თანატოლებისთვის მსოფლიოს მასშტაბით.
- მნიშვნელოვანია მსოფლიოს საუკეთესო საგანმანათლებლო რეფორმების კვლევა და რელევანტური პრაქტიკის გაზიარება.
- გამომდინარე იქედან, რომ მთავრობა გამოთქვამს მზადყოფნას 2022 წლისთვის განათლების სფეროს დაფინანსება, მშპ-ის 6%-მდე გაზარდოს (2017 წლის მდგომარეობით, განათლებაზე იხარჯება მშპ-ს 3.8%), სასურველი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ამ თანხის სწორად განკარგვა.

www.sab.ge